ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4482433

ნომერი: AR1675056

თარიღი : 18.04.2019

გაცემის თარიღი : 01.05.2019

გაცნობის თარიღი : 02.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ტალიაშვილი პ/ნ 01005030351
- თბილისი ნორიოს აღმ. N 20

ნომენკლატურა :

- საამქრო/სტამბა
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "დვალი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400010484
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჯიმშერი დვალიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 39001012964

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4448368
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11.04.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს: ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, იუმაშევის ქუჩა, შპს დვალი - ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.19.26.004.224) საამქრო/სტამბას 11/04/2019წ. № 4448368 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 01 მაისიდან 2020 წლის 01 მაისის ჩათვლით.
4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი, კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით,პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით, მათ შორის:
4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამავე დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საინფორმაციო აბრა;
4.4. კონსტრუქციული სქემა საჭირო დეტალიზაციით.
5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება, საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.
6. ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობის საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

- საპროექტო ობიექტი უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო წყალარინების (საკანალიზაციო) შიდა და გარე სისტემით.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებლ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს «საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი» საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ცხელ ხაზს - ტელ: 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. №7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე №4.